პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 126 (4123)

1970 წ. 30 ივნისი, სამშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის თასზე

# ნახევარფინალში ითამაშებენ:

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი)

„დინამო“ (თბილისი) — „ნევთჩი“ (ბაქო)




## სერიოზული გამოცდა

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 27 ივნისი.

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (თბილისი) 1:2 (0:1).

„ჩერნომორეცი“: იარჩუკი, ლისენკო, რეშკო, ზუბკოვი, სიროშიატნიკოვი, მოსკალენკო, პორკუიანი, მიხაილინი, პროკოპენკო, მასლოვი, ზვენიგოროდსკი.

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე (ილიადი), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

მატჩს არ ჰქონია დაზვერვითი შესავალი, ის ურთიერთ „მოკითხვა“ და სიფრთხილე, რომელიც ჩვეულებრივ წინ უძღვის ხოლმე ასეთ დიდმნიშვნელოვან მატჩებს. თბილისელებმა პირველივე წუთებიდან აზარტულად დაიწყეს თამაში. მეტრეველმა ზედიზედ რამდენიმეჯერ შეასრულა სწრაფი გარღვევა და ცენტრში ჩააწოდა ბურთი. შორი მანძილიდან კარში დარტყმის შესაძლებლობა მიეცათ ასათიანს, პეტრიაშვილს, ხურცილავას. ეს იყო ძალზე სახიფათო მომენტები და მათი ნეიტრალიზებისთვის „ჩერნომორეცმა“ მოთამაშეთა უკან დახევას ამჯობინა საპასუხო კონტრიერიშები. ამის შედეგად მინდორზე გაჩაღდა დაძაბული, მწვავე ორმხრივი ბრძოლა. გოლის გატანის შესაძლებლობა ორივე მხარეს ჰქონდა.

ამ იერიშებში დინამოელთა უპირატესობა თანდათან შესამჩნევი ხდებოდა. ისინი უკეთ იყენებდნენ მინდვრის შუაგულს, უფრო სწორად — მოიერიშე ნახევარმცველებს და გოლიც სწორედ ასე იქნა გატანილი. 21-ე წუთზე პეტრიაშვილმა ისე ზუსტად გადააწოდა ბურთი კუტივაძეს, რომ ეს უკანასკნელი კარიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით სრულიად მარტოდმარტო აღმოჩნდა — 1:0.

ოდესელებმა მარცხს გაძლიერებული იერიშებით უპასუხეს: „ჩერნომორეცის“ თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა პორკუიანი, რომელიც ხშირად გადიოდა სახიფათო პოზიციაში და პარტნიორებიც გაჰყავდა, მაგრამ საპასუხო გოლის გატანას „ჩერნომორეცი“ ერთობ დიდხანს მოუნდა. 56-ე წუთზე პორკუიანმა თავისი მორიგი გარღვევა დაამთავრა მოსკალენკოსკენ ზუსტი გადაცემით და მანაც უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ხურცილავას მიერ 85-ე წუთზე გატანილმა გოლმა. თბილისელთა გამოცდილმა სტოპერმა 21-22 მეტრის მანძილიდან ისეთი სიზუსტით და სიძლიერით შეასრულა საჯარიმო დარტყმა, რომ ოდესელთა მიერ აღმართულმა კედელმა და მეკარე იარჩუკმა, როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს. თბილისელებმა გამარჯვება მოიპოვეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

* * *

კიევის დინამოელებმა საკუთარ მინდორზე მიიღეს ლენინგრადის „ზენიტი“. აქ ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (იუმაკულოვი), მაგრამ ბიშოვეცმა პირველივე ტაიმში გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ მედვიდმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს — 2:1.

მოსკოვის გუნდების — „დინამოსა“ და „ტორპედოს“ შეხვედრის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა უფერულად, უინტერესოდ. შესვენების შემდეგ დინამოელებმა სიომინმა და ავრუცკიმ (2) სამჯერ აიღეს ტორპედოელთა კარი — 3:0.

მოსკოვის „სპარტაკი“ დამარცხდა ბაქოში, „ნევთჩისთან“ შეხვედრაში. ბაქოელებმა მე-10 წუთზე გაიტანეს ბურთი „სპარტაკის“ კარში (ბანიშევსკი) და შეინარჩუნეს ანგარიში, თუმცა მოსკოველებს ამის შემდეგ ბევრჯერ შეეძლოთ ბურთის გატანა.

## სსრ კავშირის პირველობა

### „ბ“ ჯგუფი

27 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები „ბ“ კლასის II ზონის I ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ შემდეგი ქალაქებიდან:

### რუსთავი...

ზონის ლიდერმა — ადგილობრივმა „მეტალურგმა“ მიიღო „ბ“ კლასის დებიუტანტი — ვანის „სულორი“.

მასპინძლებმა პირველივე წუთიდან აიღეს ხელთ ინიციატივა და შემდგომში თითქმის არ მოსცილებიან მეტოქის ნახევარს.

ანგარიში მე-10 წუთზე გაიხსნა ფედიაევ-ალადაშვილი-ხვედელიძის კომბინაციის შემდეგ — 1:0. ათიოდე წუთის მერე ალადაშვილმა და ხვედელიძემ ისევ გაითამაშეს ბურთი და „სულორის“ მეკარე ჯანელიძეს მეორე ბურთის გამოტანა მოუხდა ბადიდან. ცოტა ხანში ალადაშვილმა ანგარიში 3:0-მდე გაზარდა.

ბრძოლის სურათი არ შეცვლილა მეორე ტაიმშიც. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო ჯანელიძემ, მათ შორის, 85-ე წუთზე ბახტაძის მიერ დარტყმული პენალტიც, მაგრამ იგი მაინც იძულებული იყო გაეშვა 2 ბურთი ლობზევისა და ხვედელიძისგან. გაიმარჯვეს მეტალურგებმა — 5:0.

რ. გაბრიჭიძე.

### ფოთი...

ძალზე საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ადგილობრივი „კოლხეთის“ შეხვედრა მახარაძის „მერცხალთან“. როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები მოქმედებდნენ სრული მონდომებით, ენერგიულად და მაყურებელს აჩვენეს მრავალი სახიფათო მომენტით აღსავსე თამაში.

პირველი ტაიმი ფოთელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0 (გოლი გაიტანა კიშენკომ). შესვენების შემდეგ „მერცხლის“ თავდამსხმელები საგრძნობლად გააქტიურდნენ და 55-ე წუთზე მასპინძელთა მცველების მიერ დაშვებული შეცდომა კარგად გამოიყენა კაკალაძემ — 1:1. მცირე ხანში „კოლხეთის“ საჯარიმო მოედანზე კიდევ იქნა დაშვებული შეცდომა და ისიანის დარტყმის შემდეგ დაწინაურდნენ უკვე სტუმრები — 2:1.

ფოთელებმა ამ კრიტიკულ მომენტში შეძლეს ნამდვილი საბრძოლო თვისებების გამოვლენა. მათი მორიგი შეტევისას მახარაძელთა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავისი კარის სიახლოვეს, რისთვისაც დაინიშნა 11-მეტრიანი. ალმასიამ ზუსტად შეასრულა პენალტი — 2:2. როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, პანაიოტმა კარგად გადასცა ბურთი ამაღლობელს და ამ უკანასკნელის მიერ გატანილმა გოლმა გამარჯვება მოუტანა ფოთის „კოლხეთს“ — 3:2.

ბ. ბასილაია.

### ცხინვალი...

აქაური „სპარტაკი“ წლევანდელ გათამაშებაში ვერ დაიკვეხნის რაიმე წარმატებით, მაგრამ მატჩი გურჯაანის „ალაზანთან“ გუნდმა საჭირო სპორტულ დონეზე ჩაატარა. პირველი ათი წუთის მანძილზე უპირატესობა სტუმრებს ჰქონდათ, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია, 25-ე წუთზე კი სპარტაკელებმა კონტრიერიში განახორციელეს და ჩუხაევმა შორი მანძილიდან გახსნა ანგარიში — 1:0.

ტაიმი ასე დამთავრდა. შესვენების შემდეგ მასპინძლები მინდვრის სრული ბატონ-პატრონნი გახდნენ, ხოლო გურჯაანელებმა მთლიანად დათმეს თამაში. „ალაზნის“ კართან შექმნილი მომენტებიდან 5 დამთავრდა კარის აღებით. გოლები გაიტანეს გაზაევმა, ჟუკოვსკიმ (2), ჯიჭოევმა და ჩიტაევმა. 6:0.

ვ. მელქოევი.

* * *

ამავე დღეს თელავის „კახეთმა“ ფრედ ითამაშა ტყიბულის „მეშახტესთან“ — 1:1. ლანჩხუთის „გურიამ“ შინ მიიღო ეისკის „ტორპედო“ და ფრედ დაამთავრა შეხვედრა — 2:2.



საინტერესო ბრძოლით აღინიშნა საქართველოსა და რუმინეთის ველოსიპედისტთა ამასწინანდელი ტრადიციული შეხვედრა. მასპინძლებმა პროგრამის თითქმის ყველა სახეობაში იმარჯვეს და საერთო ჩათვლაშიც გუნდური პირველობა მოიპოვეს.

სურათზე: ჯგუფური რბოლის მონაწილენი დისტანციაზე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. გაზეთის შემდეგ ნომერში).

# ფანტასტიკური აკორდი

ბოლო წლებში გამართულ არც ერთ ევროპულ ჩემპიონატს არ მოუცია იმდენი მსოფლიო, კონტინენტისა თუ ეროვნული რეკორდი, რამდენიც უნგრეთის ქალაქ სომბათხეის ფიცარნაგზე დამყარდა. 10 მსოფლიო, 12-მდე ევროპისა და 20-ზე მეტი ეროვნული რეკორდი — ასეთია ჩემპიონატის მოსავალი. განსაკუთრებით ბრწყინვალედ გამოვიდნენ საბჭოთა ათლეტები, რომლებსაც 8 მსოფლიო რეკორდი ეკუთვნით. მათ მოიპოვეს აგრეთვე, 17 ოქროს, 7 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი. ფიცარნაგზე 9 საბჭოთა ძალოსანი გამოვიდა და თითქმის ყველამ მოიხვეჭა რომელიმე ხარისხის მედალი. 5 სპორტსმენი — ვ. კრიშჩიშინი, ვ. კურენცოვი, გ. ივანჩენკო, ი. ტალტსი და ვ. ალექსეევი ევროპის ჩემპიონები გახდნენ, ვ. კოლოტოვი — ვიცე-ჩემპიონია, ვ. სმეტანინი და ე. სმირნოვი ბრინჯაოს მედლების მფლობელნი. მხოლოდ რ. ბელენკოვი დარჩა უმედლოდ (IV ადგილი), მაგრამ ახალგაზრდა, გამოუცდელი ათლეტისთვის ჩემპიონატი შესანიშნავი სკოლა გახლდათ.

განსაცვიფრებელი, ფანტასტიკური რეკორდის ავტორი გახდა საბჭოთა გოლიათი ვ. ალექსეევი, მაგრამ... ნუ ვიქნებით სულსწრაფები და მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას. ალექსეევამდე ფიცარნაგზე ხომ მსოფლიოს ჩემპიონი ი. ტალტსი გამოვიდა და მანაც არანაკლები ბრწყინვალებით იასპარეზა.

მძიმე წონის ათლეტთა მსოფლიო რეკორდი სამჭიდში სწორედ ჩემპიონატის წინ ჩამოართვა ტალტსს საბჭოთა ათლეტმა ვ. იაკუბოვსკიმ. ახალმა რეკორდმა მხოლოდ 10 დღეს იარსება და კვლავ ტალტსის საკუთრება გახდა. ამ უკანასკნელმა 215 კგ აკრა და 1 კგ-ით გააუმჯობესა იაკუბოვსკის მსოფლიო რეკორდი, ხოლო სამჭიდში 562,5 კგ-

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *



სურათზე: ვ. ალექსეევი ასპარეზობისას.

ა. ბრაზაიტისის ტელეფოტო.

## 20 წამი

◆ მოსკოვი, 29 ივნისი. თანამედროვე ხუთჭიდში საკავშირო პირველობის მესამე დღეს მონაწილენი სროლაში ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა ვ. დრიუკოვმა, რომელმაც 1066 ქულა დააგროვა. სამი სახეობის შემდეგ შარშანდელ ჩემპიონს ბ. ონიშჩენკოს (კიევი) 3012 ქულა აქვს. II ადგილზეა ვ. სუდაკოვი — 2836, III — ვ. კრიაჟევი — 2822.

◆ დონეცკი, 29 ივნისი. ფეხბურთელთა ადგილობრივი გუნდი „შახტიორი“ აქ ამხანაგურ მატჩში შეხვდა დასავლეთ გერმანიის ქალაქ ფელბერტის ნაკრებს. ანგარიშით 5:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

◆ ტულა, 29 ივნისი. ქალაქის ტრეკზე ორ დღეს მიმდინარეობდა მსოფლიო პირველობისთვის შესარჩევი შეჯიბრება. სპრინტში ყველას აჯობა მოსკოველმა ველოსიპედისტმა გ. ერმოლაევამ, რომელიც 10 რბოლიდან ცხრაში პირველი იყო. II ადგილი დაიკავა ვ. სავინამ (ტულა). სწორედ ეს ორი სპორტსმენი დაიცავს სსრ კავშირის სპორტულ ღირსებას მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში.

◆ ბონი, 29 ივნისი. სპიდვეის ნ. საბჭოთა ოსტატმა მოიპოვა უფლება გამოვიდეს წიდიან ბილიკზე მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ევროპულ ფინალში. აქ გამართულ ასპარეზობაში ჩვენი სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთ იასპარეზა თბილისელმა ვ. კლიმენტიევმა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა (პირველი იყო გდრ-ის წარმომადგენელი ა. ფრიტცი), 8 უძლიერესთა შორის მოხვდა მეორე თბილისელიც — ვ. გორდეევი.

◆ ბეიკერსფილდი (აშშ), 29 ივნისი. კალიფორნიის ამ ქალაქში გამართულ აშშ-ს მძლეოსანთა ჩემპიონატში მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები. 100 იარდზე რბენაში გაიმარჯვა ა. კროკეტმა — 9,3 წამი, 220 იარდზე ფინიშთან პირველი იყო ბ. ვოგნი — 20,8.

◆ ჰელსინკი, 29 ივნისი. ფინეთისა და საფრანგეთის მძლეოსანთა მატჩში ი. ვიატაინენმა 10 კმ 28.19,6-ში დაფარა. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში.

◆ ვარშავა, 29 ივნისი. სსრ კავშირის ნაკრებმა კარტინგში მოიგო „სოციალისტური ქვეყნების თასის“ გათამაშების პირველი ეტაპი. პირად ჩათვლაში ვ. ორეხოვი მეორე იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ადგილების შეპირატესობით

ურის ტყორცნა წმინდა მამაკაცური სახეობაა. ნაკლებად, მაგრამ მაინც, ამ სახეობით ქალებიც არიან გატაცებული და ხშირადაც ესწრებიან ურის მტყორცნელთა შეჯიბრებებს. ჰერტრუდა მაიერმა მწვრთნელობასაც კი მოჰკიდა ხელი. დიდი ხანი როდია, რაც მაიერი თბილისში დაბრუნდა, მაგრამ საქართველოს ურის მტყორცნელებს უკვე დაეტყოთ წინსვლა: რესპუბლიკურ რეკორდებს ყოველწლიურად აუმჯობესებენ და ახლა 60-მეტრიან ზღვარსაც მიადგნენ.

მ. ფხაკაძეც მაიერის წვრთნის. პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელმა წლეულს ხუთჯერ გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი და 59-მეტრიანი ზღვარიც პირველმა გადალახა. ამას წინათ მას თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე, საკავშირო თასის გათამაშებისას 60 მეტრამდე მხოლოდ 2 სმ დააკლდა.

59,98 მეტრი — ასეთია საქართველოს ახალი რეკორდი, რისთვისაც ფხაკაძეს „ლელოს" სპეციალური პრიზი გადაეცა.

— მიღწეულს არ დავჯერდები. ვეცდები წლეულსვე გადავლახო 60 მეტრი — გვითხრა ფხაკაძემ. მწვრთნელმაც დასძინა, რომ ნიჭიერ სპორტსმენს უფრო მეტიც შეუძლიაო.

საკავშირო თასის — გაზეთ „იზვესტიას" პრიზის წლევანდელი გათამაშების პირველი ეტაპის შეჯიბრებებში თბილისის, კრასნოდარის, ბათუმის, ქუთაისისა და სოხუმის გუნდები მონაწილეობდნენ. შეჯიბრების დებულება ასპარეზობის უფლებას მხოლოდ ამ გუნდებს აძლევდა. ამასთან ბათუმისა და სოხუმის კოლექტივებს შეეძლოთ თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საუკეთესო მძლეოსნებიც გამოეყვანათ. მაგრამ სოხუმელებმა დებულების ეს პუნქტი რატომღაც დაივიწყეს და თბილისში მეტად სუსტი გუნდით ჩამოვიდნენ. ქალებმა 14, ვაჟებმა — 30 ქულა მოაგროვეს და ბოლო ადგილებს დასჯერდნენ.

ტურნირში კრასნოდარის გუნდის მონაწილეობამ თბილისელები აიძულა მთელი მონდომება გამოეჩინათ, რათა თასის გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოეპოვებინათ. დაძაბულ ბრძოლაში კი რამდენიმე კარგი შედეგიც იშვა.

მასპინძლები კრასნოდარის ქალთა გუნდთან ძნელ ბრძოლას ვარაუდობდნენ, სტუმარი ვაჟები კი ღირსეულ მეტოქეებად არ მიაჩნდათ. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. ვაჟთა ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული 22 სახეობის შემდეგ თბილისელებმაც და კრასნოდარელებმაც 98-98 ქულა მოაგროვეს: თბილისელებმა შემდგომი ეტაპის საგზური იმის წყალობით მოიპოვეს, 11 პირველი ადგილი რომ დაიკავეს (კრასნოდარელებმა 10 სახეობაში იმარჯვეს).

ქალთა ტურნირში მასპინძლები მესამე სახეობაში — სიგრძეზე ხტომაში გამარჯვების შემდეგ დაწინაურდნენ და საბოლოოდ 64 ქულა მოაგროვეს. კრასნოდარელებს 57 ქულა დაუგროვდათ.

ქების ღირსია ბათუმის კოლექტივი, რომელმაც როგორც ქალთა (39 ქულა), ისე ვაჟთა (47), შეჯიბრებაში III ადგილები დაისაკუთრა.

ორდღიანი ტურნირის მანძილზე მარტო ფხაკაძის რეკორდი როდი იყო აღსანიშნავი. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა მ. ალიაკრინსკაიამ (მწვრთნელი გ. მიროტაძე) ამას წინათ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში 200 მეტრზე თარჯრბენში 30,4 წამი აჩვენა, 0,9 წამით გააუმჯობესა თ. რეფერდის (თბილისი) შარშანდელი რესპუბლიკური მიღწევა და გოგონათა შორის ახალი რეკორდი დაამყარა. ახლა მან საქართველოს აბსოლუტური რეკორდი 29,6 წამამდე დაიყვანა. გაიმარჯვა ნ. სობოლმა (კრასნოდარი) — 28,9, მესამე იყო ს. მარჩენკო (ბათუმი) — 38,5.

მესამე რეკორდი 4×400 მეტრზე ქალთა ესტაფეტაში დამყარდა. კრასნოდარელთა ძლიერი კვარტეტის ერთ-ერთი წევრი სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ლ. ბრაგინა გახლდათ. მას არც გუნდის სხვა წევრები ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ მასპინძლები თავგამოდებით იბრძოდნენ და დაუფასდათ კიდეც. თბილისის გუნდმა (ლ. ფარცვანია, ლ. კორკოტაძე, ტ. ივანოვა, ლ. ჭარბაძე) 3.56,8 აჩვენა. ეს საქართველოს ძველ რეკორდს 0,8 წამით სჯობს, კრასნოდარელების შედეგს კი 0,4 წამით.

მძლეოსნურ სარბიელზე წლეულს დაბრუნებული თ. კლდიაშვილი (თბილისი) შედეგებს ყოველ შეჯიბრებაში აუმჯობესებს. ამჯერად მან 100 მეტრზე თარჯრბენში 14,9 წამი აჩვენა, პირველი თანრიგის ნორმატივიც შეასრულა და გაიმარჯვა კიდეც.

და მაინც, მასპინძელ ქალთაგან ყველაზე მეტ ქებას ლ. ტულუში და ლ. იველევა იმსახურებენ. ახალგაზრდა დები სულ უფრო ცდილობენ სპორტული ფორმის აღდგენას. ტულუშმა ბადრის ტყორცნაში (52,32 მ) სპორტის ოსტატის ნორმატივი აჩვენა, იველევა კი 605 სმ სიგრძეზე გადახტა. პირველმა კრასნოდარელ სპორტის ოსტატს რ. პალსგუტას 4,26 მეტრი მოუგო, იველევამ კი სპორტის ოსტატ გ. ბერესლავსკაიას 15 სანტიმეტრით აჯობა.

ვაჟთა შეჯიბრებაში რამდენიმე სახეობის წარმომადგენელთა ტურნირი იყო საინტერესო. პირველ ყოვლისა ეს ეხება 4×400 მეტრზე ესტაფეტას, რომელიც ტურნირის დასკვნითი აკორდი გახლდათ. რა თქმა უნდა, მთავარი მეტოქენი აქაც კრასნოდარისა და თბილისის კვარტეტები იყვნენ. პირველივე ეტაპებზე რ. არმეგონაშვილმა ვ. შევდჩიკოვს ორიოდე მეტრი მოუგო, მაგრამ ა. ზუზიკთან ორთაბრძოლაში თბილისელმა ე. კონდრატიევმა თანაგუნდელის მონაპოვარი დაკარგა. მესამე ეტაპზე ტ. ბახტაძემ 200 მეტრში მდგომარეობა გამოასწორა, შემდეგ კიდეც დაწინაურდა და ბოლო ეტაპზე ესტაფეტა ი. კოზელსკის პირველმა გადასცა. მაგრამ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ე. ბორისენკოსთან კოზელსკიმ ვერაფერი გააწყო.

სანახაობრივად საინტერესო იყო შეჯიბრება 5000 მეტრზე რბენაში. თავიდან ქუთაისელი ი. პერანიძე დაწინაურდა. ნ. დავიდენკომ (თბილისი) და ვ. ბელიანკინმა (კრასნოდარი) მისი გამოწვევა არ მიიღეს: მათ თავიანთი საზრუნავი ჰქონდათ — ერთმანეთს უთვალთვალებდნენ. შუა დისტანციის შემდეგ ეს დუეტი დაწინაურდა: სტუმარი წინ მირბოდა, მასპინძელი კვალში მიჰყვებოდა. როცა ფინიშამდე 100 მეტრი დარჩა, დავიდენკომ სპრინტერული სისწრაფე ჩართო და მეტოქეს 6,4 წამი მოუგო. გამარჯვებულის დროა 15.15,0.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ვაჟთა გუნდების ტურნირში თბილისელთა გამარჯვების საკითხი სასწორზე იდო. საქმე აქამდე არ მივიდოდა, სპორტის ოსტატ თ. მდივანს საასპარეზოდ მოსვლა რომ არ დავიწყებოდა (ასე განაცხადა თვითონ). მისი ადგილი ვ. უზმორსკიმ დაიკავა, მაგრამ ამ უკანასკნელმა სპორტის ოსტატ ვ. სუვოროვთან (კრასნოდარი) დუელში 195 სმ დაძლია და II ადგილს დასჯერდა (სუვოროვმა 2 მეტრი გადალახა).

ქების ღირსია ი. დიაჩკოვი. ავადმყოფმა (ხელი აქვს ნატკენი) გუნდისთვის 110 მეტრზე თარჯრბენში ისპარეზა და პირველობაც მოიპოვა.

ო. გელაშვილი.

* * *

**ტექნიკური შედეგები: ქალები.** რბენა. **100 მ.** ბერესლავსკაია — 12,1, ნ. ლომიძე (თბილისი) — 12,3, ფედოსეენკოვა — 13,1; **200 მ.** ტ. სერდიუკოვა (თბილისი) — 26,0, თ. სოკოლოვა (კრასნოდარი) — 26,3, ვ. გოლობოროდკო (ბათუმი) — 26,5, **400 მ.** გოლობოროდკო — 59,5, ლ. კორკოტაძე (თბილისი) — 59,7, ნ. მესხი (ქუთაისი) — 1.07,8; **800 მ.** ბრაგინა—2.11,2, მ. მეტრეველი (თბილისი) — 2.23,2, ლ. ხელაძე (ბათუმი) — 2.32,6; **1500 მ.** ლ. ვოლკოვა (კრასნოდარი) — 4.59,1, რ. შჩიკოვსკაია (თბილისი) — 5.08,8, ნ. ნერგაძე (ქუთაისი) — 5.26,4; **ესტაფეტა. 4×100 მ.** თბილისი — 48,8, კრასნოდარი — 49,1, ბათუმი — 54,2; **შუბის ტყორცნა.** დ. საბაური (თბილისი) — 45,44, ო. მალიანცევიჩი (კრასნოდარი) — 42,48, ო. შტუკატუროვა (ბათუმი) — 27,70; **ბირთვის კვრა.** ტულუში — 14 მ, ლ. ტურუტოვა (კრასნოდარი) — 13,76, მ. თათარაშვილი (ქუთაისი) — 12,94; **სიმაღლეზე ხტომა.** ლ. ნემჩენკო (კრასნოდარი) — 170, ლ. გუკი (თბილისი) — 160, მარჩენკო — 140.

**ვაჟები.** რბენა. **100 მ.** ვ. ბრინცევი (კრასნოდარი) — 10,7, გ. სტეპანოვი (თბილისი) — 10,9, ა. ვიუნოვი (ბათუმი) — 11,4; **200 მ.** ბორისენკო — 21,6, ა. ანდრეევი (თბილისი) — 22,0, ა. გაგოშიძე (ქუთაისი) — 23,4; **400 მ.** ბორისენკო — 47,9, ბახტაძე 49,2, ი. ზეინან-ოღლი (ბათუმი) — 52,3; **800 მ.** ი. ვიხროვი (კრასნოდარი) — 1.54,7, არმეგონაშვილი — 1.56,7, ზეინან-ოღლი — 1.58,6; **1500 მ.** გ. სტარიჩკოვი (თბილისი)—4.02,0, ვიხროვი — 4.02,0 ა. ვაენიჩენკო (ბათუმი) — 4.16,0; **10.000 მ.** ჰ. კოჩეგუროვი (თბილისი)—32.20,2, პ. ბეზიაზიჩნი (კრასნოდარი) — 32.26,0, ი. კურიცინი (ბათუმი) — 34.08,4. **3000 მ წინაღობებით.** გ. პანიჩკინი (კრასნოდარი) — 9.23,8, ა. მიქოიანი (თბილისი) — 9.27,8, ა. რუჩკინი (ბათუმი) — 10.55,0; **ესტაფეტა. 4×100 მ.** კრასნოდარი — 41,8 თბილისი — 42,0, ბათუმი — 45,3; **4×400 მ.** კრასნოდარი — 3.16,0, თბილისი — 3.16,4, ბათუმი — 3.34,4; **თარჯრბენი. 110 მ.** დიაჩკოვი — 14,9, პ. ზუევი (კრასნოდარი) — 15,4, პ. კოვზირიძე (ქუთაისი) — 16,3; **200 მ.** ბრინცევი — 24,0, კოზელსკი — 24,2, კოვზირიძე — 26,6; **400 მ.** კოზელსკი — 53,5, ა. ზუზიკი (კრასნოდარი) — 57,0, ლ. გლადილინი (ბათუმი) — 58,5; **20 კმ სპორტული სიარული.** ა. შჩერბინა (თბილისი) — 1:35.54,2, ლ. დანილკინი (კრასნოდარი) — 1:42.48,4, კურიცინი — 1:45.13,4; **სიგრძეზე ხტომა.** ვ. სანეევი (სოხუმი) — 755, მ. ბარიბანი (კრასნოდარი) — 731, ვ. ჩუკანოვი (თბილისი) — 713; **სამხტომი.** ლ. დარახველიძე (თბილისი) — 15,50, რ. პეტრუშკავიჩუსი (კრასნოდარი)—14,83, ა. შაბანოვი (სოხუმი) — 14,14; **ჭოკით ხტომა.** მ. თათევოსიანი (თბილისი) — 440, ი. ვიქტოროვი (კრასნოდარი) — 400, ბ. პისარევი (სოხუმი) — 380; **ბადრის ტყორცნა.** გ. გუდაშვილი (თბილისი) — 56,58, ი. ფედორენკო (კრასნოდარი) — 49,84, ბ. ხარჩილავა (ქუთაისი) — 38,14; **შუბის ტყორცნა.** კ. გორძამაშვილი (თბილისი) — 75,70, ნ. სოლოდკოვი (კრასნოდარი) — 62,14; ი. აძინბა სოხუმი) — 51,42; **ურის ტყორცნა.** გ. კონდრაშოვი (კრასნოდარი) — 62,68, ფხაკაძე — 59,98, ვ. პიგარი (სოხუმი) — 37,00; **ბირთვის კვრა:** მ. ოყროშიძე თბილისი) — 18,12, ვ. კოსტენკო (კრასნოდარი) — 15,46, ხარჩილავა — 13,58.

* * *



სურათზე: ლ. დარახველიძე ასპარეზობის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## სხვა შეხვედრები

სსრ კავშირის თასის — გაზეთ „იზვესტიას" პრიზის სხვა მეოთხედფინალური შეჯიბრებები მოსკოვში, ლენინგრადში, კიშინიოვში, რიგაში, ერევანში, პიატიგორსკსა და იუჟნო-სახალინსკში გაიმართა.

მოსკოვში მოასპარეზენი უამინდობის გამო მაღალი შედეგებით ვერ დაიქადნიან. ნახევარფინალში გავიდნენ დედაქალაქის ვაჟთა და ქალთა კოლექტივები.

ლენინგრადი თასის გათამაშებაში 8 გუნდით ჩავიდა. ორი კოლექტივი ფსკოვის, პეტროზავოდსკის, არხანგელსკისა და მურმანსკის სპორტსმენებს მასპინძლობდა და გამარჯვებაც ამ გუნდებს დარჩათ. ლენინგრადელებმა პროგრამის 34 სახეობიდან მხოლოდ სამი წააგეს. სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობეს თ. ზაევამ (პეტროზავოდსკი) და გ. კონოვალენკომ (ფსკოვი). სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ვ. მამონოვმა (ფსკოვი). აღსანიშნავია 3 შედეგი: ბირთვის კვრაში მსოფლიოს რეკორდსმენმა ნ. ჩიჟოვამ 18,88 მ აჩვენა, თ. დანილოვამ ბადრო 58,86 მეტრზე ტყორცნა, ვ. ვოიკინის ბირთვი კი 18,42 მეტრზე დაეცა.

ლენინგრადის მეორე გუნდები რიგაში ასპარეზობდნენ და ქალებმა პირველობაც მოიგეს. ნევისპირელ და მასპინძელ ვაჟთა კოლექტივებს ბოლო სახეობამდე 110:110 ქულა ჰქონდათ, მაგრამ 4×400 მეტრზე ესტაფეტამ წარმატება რიგელებს მოუტანა. მასპინძლებმა ლატვიის ორი რეკორდი გააუმჯობესეს: ვ. უმბრაშკომ ბადრის ტყორცნაში 54,44 მ აჩვენა, ე. კარკალინშმა კი ბირთვის კვრაში—17,24 მ.

კიშინიოვში მოლდავეთის სამი რეკორდი დამყარდა. ამ მიღწევათა ავტორები არიან სიგრძეზე ხტომაში — გ. ლისენკო (772 სმ), სამხტომში—ე. დოლჟენკო (15,25), 100 მეტრზე თარჯრბენში — ვ. ბოლშოვა (14,4). ვ. ბოლშოვი 217 სმ სიმაღლეზე გადახტა. გ. რიაბოვამ სიგრძეზე ხტომაში პირველად შეასრულა ოსტატის ნორმა — 618 სმ. თასისთვის ბრძოლას კიშინიოველი მძლეოსნები გააგრძელებენ.

ერევანი ლენინაკანის, კიროვაკანისა და დნეპროპეტროვსკის გუნდებს მასპინძლობდა. აქ ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება დნეპროპეტროვსკელებმა მოიპოვეს, მასპინძლებმა კი გული იმით დაიმშვიდეს, რომ ფ. მელნიკმა ბირთვის კვრაში სომხეთის ქალთა რეკორდი (15,70) დაამყარა და სპორტის ოსტატის ნორმაც შეასრულა.

პიატიგორსკში ნახევარფინალის საგზურებისთვის ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქების გუნდები იბრძოდნენ. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის წარმატება სტავროპოლელებმა დაისაკუთრეს. პირადი მაჩვენებლებიდან მხოლოდ 2 შედეგია აღსანიშნავი: 20 კმ სპორტულ სიარულში ი. გერგერეიდმა (გროზნო — 1:32.27) სპორტის ოსტატობა მოიპოვა, ვ. გოლოვანოვმა (ორჯონიკიძე) კი ბადრო 55,62 მეტრზე ტყორცნა.

# ვისაც სურს...

*უკვე ათ წელზე მეტია, რაც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან მწვრთნელთა სკოლა შეიქმნა. ამ ხნის მანძილზე იგი ბევრმა სახელოვანმა სპორტსმენმა დაამთავრა, რომლებიც დღეს თავიანთ მდიდარ გამოცდილებას მომავალ თაობებს გადასცემენ. ამ დღეებში ჩვენი კორესპონდენტი ეწვია სკოლის დირექტორს აბო ნემსაძეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.*

„ლელო" ინტერვიუ

● **ბატონო აბო, სად შეუძლია მუშაობა თქვენი სკოლის კურსდამთავრებულს?**

— ჩვენი სკოლა სპეციალური საშუალო სასწავლებლების ტიპისაა. იგი ამზადებს მწვრთნელებს, რომლებიც ძირითადად მუშაობენ სპორტსაზოგადოებებში, ფიზკულტურულ კოლექტივებსა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში. გარდა ამისა, ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულს უფლება აქვს იმუშაოს ფიზკულტურის მასწავლებლად 8-წლიან სკოლაში.

● **რა თავისებურებებით გამოირჩევა სწავლება თქვენს სკოლაში?**

— ისევე როგორც სპეციალურ საშუალო სასწავლებელში, მწვრთნელთა სკოლაშიც სწავლების ხანგრძლივობა არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის 2 წელი და 10 თვეა, ხოლო მათთვის, ვისაც სრული კურსი აქვს დამთავრებული, 1 წელი და 10 თვე.

აქ სწავლობენ სკკპ ისტორიას, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, გეოგრაფიას. რა თქმა უნდა, სპეციალური დისციპლინების საფუძვლიანად დაუფლების გარეშე წარმოუდგენელია იყო პედაგოგი. ამიტომ, სასწავლებელში გადიან ადამიანის ანატომიას, ფიზიოლოგიას, ფიზიკური აღზრდის თეორიას, ფიზკულტურის ისტორიას და ორგანიზაციას, ჰიგიენას, საექიმო კონტროლსა და სხვ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დისციპლინებისა, სკოლის სასწავლო გეგმაში წამყვანი ადგილი უკავია სპეციალიზაციას, ესე იგი ოსტატობის ამაღლებას სპორტის იმ სახეობაში, რომელიც მოსწავლემ თავად შემოსვლისას აირჩია. სკოლაში მუშაობენ გამოცდილი მწვრთნელები და პედაგოგები.

● **რაკი მწვრთნელებზე და მასწავლებლებზე ჩამოვარდა სიტყვა, ხომ ვერ გვეტყვით რაიმეს მათზე შესახებ?**

— მწვრთნელთა სკოლას ძირითადად ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებლები ემსახურებიან. ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებს ასწავლიან დოცენტები, მეცნიერების კანდიდატები და უფროსი მასწავლებლები.

სპეციალობებში პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ჯორჯაძე, ა. წერეთელი, ლ. ფალავანდიშვილი, ს. შუდრა, მ. ქლენტი, შ. გორგასლიძე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები მ. თიკანაძე, შ. დიასამიძე, დოცენტები ი. ალიხანოვი და ნ. ოყროშიძე.

● **რა უფლებებით სარგებლობს ის მოსწავლე, რომელიც სკოლას წარჩინებით დაამთავრებს?**

— მოსწავლეს, რომელსაც სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების 75 პროცენტში ფრიადი შეფასება ექნება და რომელიც სწავლის მთელ პერიოდში თავს გამოიჩენს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ეძლევა დიპლომი „წარჩინებით". ასეთი დიპლომით კურსდამთავრებულს შეუძლია მოეწყოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში და ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომლითაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული ოქროს მედალოსნები სარგებლობენ.

● **ასრულებს თუ არა სკოლა მის წინაშე დასმულ ამოცანებს?**

— საქმე ისაა, რომ მწვრთნელთა სკოლა ემსახურება არა მარტო მას, ვისაც მომავალში სურს მწვრთნელი გახდეს, არამედ მათაც, ვინც სხვადასხვა მიზეზების გამო გამოეთიშა დიდ სპორტს და სურვილი აქვს თავისი დიდი პრაქტიკული გამოცდილება ახალგაზრდობას გადასცეს. ეს ხალხი უკვე მუშაობს მწვრთნელებად, მაგრამ სპეციალური განათლება არა აქვს. სამწუხაროდ, ასეთები ბევრნი არიან. მათი უმეტესობა სათავეში უდგას გუნდებს, სასწავლო ჯგუფებს, ზოგ შემთხვევაში რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებსაც კი.

დღეისთვის ბევრ პრაქტიკულ მუშაკს, მწვრთნელს, ინსტრუქტორს აქვს სურვილი მწვრთნელის კვალიფიკაცია მიიღოს, მაგრამ ძირითად სამუშაოზე დიდი დატვირთვის გამო (მხედველობაში მაქვს მწვრთნელისა და ინსტრუქტორის დატვირთვა) ვერ ახერხებს მწვრთნელთა სკოლაში დღის განყოფილებაზე სწავლას. ამიტომ მომწიფდა მწვრთნელთა სკოლაში დაუსწრებელი სწავლების ჯგუფის გახსნის საკითხი.

● **რა უპირატესობით სარგებლობენ რაიონებიდან მოვლინებული აბიტურიენტები?**

— ხშირია შემთხვევები, როცა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და რაიონის სხვა ორგანიზაციები მოწინავე სპორტსმენებს თავიანთი შუამდგომლობით აგზავნიან სკოლაში სასწავლებლად. ასეთებს, როგორც წესი, უკონკურსო ჩარიცხვის უპირატესობა ეძლევათ. სკოლის დამთავრების შემდეგ ისინი თავიანთ რაიონებს უბრუნდებიან და ხელს უწყობენ იქ სპორტის პოპულარიზაციას.

● **— სპორტის რომელი სახეობების მიხედვით იქნება მიღება მიმდინარე სასწავლო წელს?**

— მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ ახალი სასწავლო წლისთვის დაგვიმტკიცა სპორტის შემდეგი სახეობები: ტანვარჯიში, ფეხბურთი, მძლეოსნობა, ცურვა, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ჭიდაობა და ძალოსნობა.

● **— მატერიალურად როგორ არიან უზრუნველყოფილი მოსწავლეები?**

— მწვრთნელთა სკოლის მოსწავლეები, ისევე როგორც ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, სწავლების მთელს პერიოდში იღებენ გაძლიერებულ სტიპენდიას. I-II კურსებზე 35, III კურსზე 40 მანეთს. ფრიადოსნებს 50 მანეთი ეძლევათ.

ამას გარდა, თითქმის ყველა მსურველი კმაყოფილდება საერთო საცხოვრებლით, ყველას ეძლევა სპორტული ფორმა.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ მწვრთნელთა სკოლის კარები ფართოდაა ღია მათთვის, ვისაც სურს თავისი ცხოვრება დაუკავშიროს ისეთ კეთილშობილურ და სასარგებლო საქმეს, როგორიც ფიზიკური კულტურა და სპორტია.




# ყოჩაღ, ქუთაისელებო!

მხატვრულ ტანვარჯიშში შეჯიბრების დაწყების წინ ვერავინ იტყოდა, რომ 14 წლის ქუთაისელი გოგონა ნათელა ქათამაძე სპარტაკიადის ჩემპიონი გახდებოდა. მან სპეციალისტთა და მხატვრული ტანვარჯიშის ქომაგების ყველა პროგნოზი უკუაგდო და ტოლი არავის დაუდო. მიუხედავად რთულ კომბინაციებზე აგებული ვარჯიშებისა, ნათელამ შესანიშნავად შეასრულა ყველა ელემენტი და დამაჯერებელი უპირატესობით აჯობა უახლოეს კონკურენტებს. ჩემპიონი ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის მე-9 კლასში სწავლობს. მას ლ. შავდია წვრთნის. სულ პატარა იყო ნათელა, როცა შავდიასთან მივიდა სამეცადინოდ. აღმზრდელი ერთ ხანს ჭოჭმანობდა, მიეიღო თუ არა ეს პატარა და სუსტი გოგონა, მაგრამ, როცა ნათელამ თავისუფლად გააკეთა ხიდური, მაშინვე დათანხმდა მასთან მეცადინეობას. მას შემდეგ ნორჩი ტანმოვარჯიშე თანდათან დაეუფლა სპორტის ამ წარმტაც სახეობას. მონდომებამ ნაყოფიც გამოიღო: ნათელა სპარტაკიადის ჩემპიონია და მალე, ალბათ, სპორტის ოსტატის ნორმატივსაც შეასრულებს.

შეჯიბრებაზე ყურადღება მიიპყრეს, აგრეთვე, ქუთაისელმა ს. ბრიკმა, ბათუმელებმა — ი. ომიოტოვამ და ტ. სარატოვამ, სოხუმელებმა — ლ. ლავრენტიევამ და რ. ქოქოშვილმა, თბილისელმა ს. მერეჩკომ.

გუნდურ ასპარეზობაში კარგად გამოვიდა ქუთაისის ნაკრები. ამ გუნდის ყველა წევრი კარგად იყო მომზადებული და კოლექტივმა 247,40 ქულით I ადგილი დაიკავა. II ადგილზე გავიდა აჭარის ნაკრები — 236,80 ქულა, III — თბილისი — 231,85, IV — აფხაზეთი — 226,55, V — რუსთავი — 200,40.

პირადი პირველობის შედეგები ასეთია: მრავალჭიდი. 1. ქათამაძე — 53,45, 2. ლავრენტიევა — 52,7, 3. ბრიკი — 52,2; უსაგნოდ ვარჯიში. 1. ქათამაძე — 27,35, 2. ბრიკი, მერეჩკო — ორივეს — 26,8, 3. ლავრენტიევა — 26,7; საგნით ვარჯიში. 1. ქათამაძე — 27,45, 2. ლ. ტოგანი (თბილისი), ლავრენტიევა — ორივეს — 26 ქულა, 3. ქოქოშვილი — 25,85.

**თამარ რევია.**

• • •

სურათზე: ნ. ქათამაძე შეჯიბრების დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



## შედეგები

**თავისუფალი ჭიდაობა.** გუნდური პირველობის საპრიზო ადგილები: 1. ქუთაისი, 2. აჭარა, 3. აფხაზეთი. პირადი პირველობის საპრიზო ადგილები (წონითი კატეგორიების მიხედვით): 1. ნ. ბერიძე (აჭარა), 2. ზ. ნიკურაძე (სამტრედია), 3. ი. ჩხარტიშვილი (ქუთაისი); 1. ი. რიდჩენკო (აფხაზეთი), 2. რ. ლეჟავა (აჭარა), 3. დ. ცხადაშვილი (ვანი); 1. ა. გელაური, 2. ლ. ქეკელიძე (ორივე — გარდაბანი), დ. სებისკვერაძე (ქუთაისი), 1. ა. გურგენიძე (მაიაკოვსკი), 2. ვ. ზურაბიანი (ლენტეხი,) 3. ვ. გელაშვილი (ქუთაისი); 1. ჰ. კონიაშვილი (გარდაბანი), 2. გ. ჯიბლაძე (ქუთაისი), 3. ნ. ქურხული (საგარეჯო): 1. რ. ვალიევი (სამხრეთ ოსეთი), 2. გ. პეტრიაშვილი (თბილისი), 3. რ. ლობჟანიძე (ონი): 1. ზ. ჭელიძე (აჭარა), 2. ა. ბეშიძე (თბილისი), 3. დ. კალომლეწავი (მცხეთა); 1. ა. გელაძე (ქუთაისი), 2. ნ. გაგიევი (გორი). 3. მ. ბუაძე (სამტრედია). 1. თ. მამარნიშვილი (რუსთავი). 2. ბ. გაბუნია (ქუთაისი). 3. შ. სურმანიძე (აჭარა): 1. ა. ჭუაძე (ქუთაისი), 2. ო. ლორთქიფანიძე (ქუთაისი), 3. ვ. გაბარაევი (სამხრეთ ოსეთი).

**კრივი.** გუნდური პირველობის საპრიზო ადგილები: 1. აფხაზეთი, 2. თბილისი, 3. ქუთაისი. პირადი პირველობის საპრიზო ადგილები (წონითი კატეგორიების მიხედვით): 1. კ. ზაპუნიანი (აფხაზეთი), 2. ზ. ბასილაძე (ქუთაისი), 3-4. ვ. კლიმანოვსკი (ფოთი), ს. ოგანესიანი (აჭარა); 1. ა. ტოპალოვი (აფხაზეთი), 2. ნ. ცინცაძე (აჭარა), 3-4. გ. კოპლინი (თბილისი), გ. კალატოზიშვილი (რუსთავი); 1. ვ. ჯავილიანი (აფხაზეთი), 2. ი. თოთლაძე (თბილისი), 3-4, ი. ხაჩატურიანი (აჭარა), ი. პოლიაკოვი (ქუთაისი); 1. გ. გუჯაბიძე (ფოთი), 2. ა. ლუსპარიანი (აფხაზეთი), 3-4. ა. ბაილგიდინოვი (თბილისი), ს. პოლოსიანი (აჭარა); 1. კ. მანუკიანი (თბილისი), 2. ს. დედოიანი (აჭარა), 3-4. ვ. ბაგატუროვი (ფოთი), ხ. დავიდოვი (ქუთაისი); 1. დ. შიუკაშვილი (თბილისი), 2. ა. სვეტლიჩნი (ქუთაისი), 3-4. გ. აფციაური (აჭარა), ვ. ლეიბა (აფხაზეთი); 1. ს. აბრამიანი (თბილისი), 2. ა. სემარჯიანი (აჭარა), 3-4. ს. იაილოვი (აფხაზეთი), ა. ქივოტენკო (ქუთაისი); 1. ვ. სარქისიანი (აფხაზეთი), 2. რ. სპირიადისი (თბილისი), 3-4. ხ. ხუბეჟოვი (სამხრეთ ოსეთი), ვ. გეტიკაშვილი (ახალციხე); 1. ვ. ჯილოვიანი (თბილისი), 2. ვ. როკოჩიანი (აფხაზეთი), 3-4. ნ. ნათენაძე (ახალციხე), ნ. გელაშვილი (რუსთავი); 1. ა. რინდია (თბილისი), 2. დ. კურგანიანი (აფხაზეთი), 3-4. ი. შანიძე (ქუთაისი), გ. გელიზარაშვილი (ახალციხე): 1. ბ. გასიევი (სამხრეთ ოსეთი), 2. ვ. პილიევი (თბილისი), 3-4. ი. ქესოვი (აფხაზეთი), ვ. პულინი (ახალციხე); 1. გ. კოკაიძე (ქუთაისი), 2. ა. გვარამაძე (ახალციხე), 3-4. ვ. პაპასკირი (აფხაზეთი); გ. თედეევი (სამხრეთ ოსეთი).

**ხელბურთი.** გუნდური პირველობის საპრიზო ადგილები. გოგონები. 1. თბილისი, 2. ფოთი, 3. აჭარა: ჭაბუკები. 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. აფხაზეთი.

**ფრენბურთი.** გუნდური პირველობის საპრიზო ადგილები. გოგონები. 1. თბილისი. 2. ქუთაისი, 3. რუსთავი: ჭაბუკები. 1. თბილისი, 2. რუსთავი, 3. აჭარა.

# ფანტასტიკური რეკორდი

დასასრული

ის დაგროვებით 2,5 კგ-ით აამაღლა იმავე იაკუბოვსკის მსოფლიო რეკორდის ჭერი. ნიჭიერი ესტონელი ათლეტის მსოფლიო რეკორდები რიგით 22-ე და 23-ეა. II ადგილზე გავიდა 19 წლის ბულგარელი ა. კრაიჩევი, რომელმაც იუნიორთა 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან სამჭიდში 525 კგ დააგროვა (მსოფლიო რეკორდია), ხოლო ცალკეულ მოძრაობებში ასეთი შედეგები აჩვენა: აჭიმვა — 180, ატაცი — 150, აკვრა — 195 კგ (ორი უკანასკნელი — მსოფლიო რეკორდებია). ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ი. ხონშლიკს (უნგრეთი) — 517,5 კგ.

ჩემპიონატის ბოლო დღეს ფიცარნაგზე გამოვიდნენ ზემძიმე წონის ძალოსნები. ასპარეზობდა 6 ათლეტი. დღემდე ვ. ალექსეევი და ბელგიელი ბიბლიოთეკარი ს. რედინგი დაუსწრებლად აუმჯობესებდნენ მსოფლიო რეკორდებს, მაგრამ მათი ერთ ფიცარნაგზე გამოსვლა ვერა და ვერ მოხერხდა. ახლა, ცნობილ ძალოსნებს საშუალება მიეცათ პირისპირ დამდგარიყვნენ და ურთიერთობა გაერკვიათ. სამწუხაროდ, ალექსეევი ამჯერადაც ეულად უტევდა რეკორდებს, რადგან რედინგი სომბათხეიში საასპარეზოდ ვერ ჩამოვიდა. ვერ ჩამოვიდა დასავლეთგერმანელი ძალოსანი რ. მანგიც, რომელსაც სპეციალისტები „600-ანთა კლუბის" ერთ-ერთ უეჭველ კანდიდატად ასახელებენ.

ასეა თუ ისე, ალექსეევი ფიცარნაგზე იმ მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვიდა, რომ დაებრუნებინა მსოფლიო რეკორდები საბჭოთა ქვეყნისთვის და თვითონაც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასულიყო. მან უკვე პირველ მოძრაობაში — აჭიმვაში აგრძნობინა დანარჩენ მეტოქეებს, რომ არ ხუმრობდა. ალექსეევმა მეორე ცდაზე სრულიად თავისუფლად დაძლია 219,5 კგ და 1 კგ-ით გააუმჯობესა რედინგის მსოფლიო რეკორდი. ატაცში ალექსეევი II ადგილს დასჯერდა (170 კგ), აკვრაში კი III ცდაზე 225 კგ აჩვენა, მაგრამ აწონის შემდეგ გამოირკვა, რომ შტანგა ნახევარი კილოგრამით მძიმე იყო. ასე რომ, ამ მოძრაობაშიც ალექსეევმა საკუთარ მსოფლიო რეკორდს 2,5 კგ წაუმატა. სამჭიდის ჯამში ალექსეევის მაჩვენებელი ფანტასტიკური აღმოჩნდა — 612,5 კგ! ეს 5 კგ-ით მეტია მისსავე მსოფლიო რეკორდზე.

II ადგილზე გავიდა ფინელი კ. ლაპდენრანტა — 577,5 კგ, III — მ. რიგერი (გდრ) — 565 კგ.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ათლეტებს უკვე ბოლო დღის წინ ჰქონდათ განაღდებული გამარჯვება. საბოლოოდ მათ 51 ქულა დააგროვეს. II ადგილზე გასულ უნგრელ ათლეტებს 39 ქულა აქვთ. III ადგილზე დარჩნენ პოლონელი ძალოსნები.

# ყოველი მხრიდან

## „სპორტული სასწაული" გდრ-ში

დასავლეთის სპორტული მიმომხილველები, რომელთაც საკმარისი მონაცემები არა აქვთ გდრ-ში სპორტის ორგანიზაციის პრინციპებზე, ხშირად იმეორებენ გამოთქმას — „სპორტული სასწაული". სინამდვილეში კი არავითარი სასწაული არ არსებობს. უბრალოდ, გდრ-ში საუცხოოდაა დაყენებული ბავშვებთან მუშაობა, სპორტი კი ჭეშმარიტად მასობრივია.

მაგალითად, გდრ-ის მძლეოსნური კავშირის ბოლო სხდომაზე ჰალეში ამ კავშირის პრეზიდენტმა, პროფესორმა, დოქტორმა გ. ვიცისკმა განაცხადა: „ჩვენს რესპუბლიკაში 100 ათასი ოფიციალურად რეგისტრირებული მძლეოსანია. თუ 1966 წელს მძლეოსნურ შეჯიბრებებში 2500 გუნდი მონაწილეობდა, შარშან უკვე 15 ათასი კოლექტივი გამოვიდა სარბიელზე". აი, რით აიხსნება თითქოს გასაოცარი ფაქტი.

## დიასახლისთა კვარტეტი

დღემდე შვეციაში ველოსპორტი მამაკაცების პრივილეგია იყო. მაგრამ ცნობილი ძმების პეტერსონების მაგალითმა, რომელთაც გზატკეცილზე ბევრი უმაღლესი ჯილდო მოიხვეჭეს, ამ სახეობაში ვარჯიშის სურვილი მარგო ასობით ჭამუკსა და ქალიშვილს როდი აღუძრა. ველოსპორტს უფრო საპატიო ასაკის ხალხმაც მოჰკიდა ხელი. ბაგალითად, შვედმა დიასახლისებმა ელიზაბეტ პიოგლუნდმა, კირსტინ ირვინგმა, მონიკა ბენთსონმა და მეერი ბოდელიდმა, რომლებიც დღემდე მხოლოდ ორბორბლიანი მანქანით დადიოდნენ ბაზარში ან ტყეში დასეირნობდნენ, გადაწყვიტეს სერიოზულად ივარჯიშონ ველოსპორტში. ახლა ისინი უკვე საკმაოდ ძლიერ ვარჯიშობენ.

## ფანატიკოსი გულშემატკივარი

ინგლისის ფეხბურთელთა კლუბს „მანჩესტერ იუნაიტედს" ალბათ არ მოეძებნება ისეთი ფანატიკური გულშემატკივარი, როგორიც ალან სელოუა.

როგორც მშობლიური გუნდის ბევრი სხვა ფანატიკოსი, იგიც ყველა მატჩზე იცვამს კლუბის ფერის ტანსაცმელს და თან მიაქვს დიდი ტილო წარწერით: „მანჩესტერ იუნაიტედი". ამას წინათ მან თმაც კლუბის ფერად შეიღება. ახლა ალანის ოქროსფერთმიან თავს ლამაზად დაჰყვება მწვანე ზოლები. ასეა, რას არ ჩაიდენ კაცი შენი კერპის გულისთვის!

## კლეი, პატერსონი, შემდეგი?

ვიდრე კრივის სპეციალისტები იმის კვლევაში იყვნენ, როგორ დამთავრდებოდა ბრძოლა 50-ანი წლების პროფესიონალთა შორის უძლიერეს მძიმეწონოსან ფლოიდ პატერსონსა (მას კვლავ სურდა ძალა ეცადა პროფესიულ რინგზე) და 60-ანი წლების პირველ ხელთათმანს კასიუს კლეის შორის, გამოირკვა, რომ კლეისაც და პატერსონსაც ერთნაირი საფრთხე ემუქრებოდა. მართალია, აქ ლაპარაკია არა ფლოიდზე, არამედ მის უმცროს ძმაზე, 27 წლის რეიზე.

მკითხველმა უკვე იცის, რომ თავის დროზე კლეის 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და 10 ათასი დოლარი ჯარიმა დააკისრეს, რადგან მან უარი თქვა ვიეტნამში ბრძოლაზე. ახლა ასეთივე ხვედრი ელის უმცროს პატერსონსაც. ეს უკანასკნელი, მართალია, მსოფლიო ჩემპიონი არ ყოფილა, მაგრამ რინგზე ცუდად როდი იბრძვის. არც რეის სურს უდანაშაულო ადამიანთა სისხლი ღვაროს ინდოჩინეთში. და აი, შვეციაში (რეი პატერსონი სტოკჰოლმში ცხოვრობს) ნიუ-იორკიდან უწყება გაიგზავნა. რეი პატერსონს სასამართლოში იბარებენ, რადგან იგი უარს ამბობს ბინძურ ომში მონაწილეობაზე.

## ხანდაზმულთა მიღწევები

ნათქვამია, სიყვარულს ყველა ასაკი ემორჩილებაო. თანამედროვე სინამდვილის გათვალისწინებით ეს ნათქვამი შეიძლება ნაკლებ პოეტურად, მაგრამ უფრო პრაქტიკულად ასე გამოიხატოს: „სპორტს ყველა ასაკი ემორჩილება". განსაკუთრებით სასარგებლოა ეს ახალი ვარიანტი ხანდაზმულებისთვის. თავის თაყვანისმცემლებს სპორტი მადლობის ნიშნად ჯანმრთელობითა და... მაღალი მიღწევებით ასაჩუქრებს.

სპორტული სტატისტიკით აღრიცხულია ბევრი საინტერესო მიღწევა. 70 წლის ფრედ გრეისმა (აშშ) 5 კმ-ის გარბენას 22.15,0 მოანდომა, მარათონს კი 3:38.17,0. 74 წლის ფრიც შრაბერმა (შვეიცარია) 25-კილომეტრიან დისტანციაზე 2:17.36,0 აჩვენა, მისმა თანამემამულემ, 76 წლის მიშელ ნესესონმა კი 100 კმ-ზე (!) — 18:01,00... 77 წლის არტურ ლამბერტმა (გფრ) 10 კმ 47,5 წუთში გაირბინა.

მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მოლეოსან მათუსალებს შორის ყველაზე საოცარი რეკორდი მაინც ყოფილ ოლიმპიურ ჩემპიონს (1908 წ. 3 მილზე რბენა) ჯონ დიაკინს ეკუთვნის. 80 წლის ასაკში იგი „ჯანმრთელობის გაკაჟების მიზნით" ყოველდღე 1 მილს ფარავს სირბილით.

## ბათუმი

აჭარის მონკავშირის სასროლეთზე გაიმართა აჭარის ფიზკულტურის კომიტეტის პრიზის გათამაშება სასტენდო სროლაში.

ადგილიდან სროლაში პირველ აცდენამდე ასპარეზობაში იმარჯვა სპორტის ოსტატმა ა. პოპოვმა — 14 ქულა. ადგილიდან 50 სამიზნეზე სროლა მოიგო სპორტის ოსტატმა ზ. კვაჭაძემ — 45.

მრგვალ სტენდზე აცდენამდე შეჯიბრებაში თავი ისახელა სპორტის ოსტატმა ი. საითოვმა. მისივე გამარჯვებით დამთავრდა 50 სამიზნეზე სროლა — 42 ქულა.

თასის პირველი მფლობელი გახდა „განთიადის" კოლექტივი.

• • •

საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა ქ. ბათუმის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. ტურნირში 12 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფეხსაცმლის ფაბრიკისა და „დინამოს" ჭაბუკთა 1 გუნდები. მატჩის მე-16 წუთზე მარცხენა გარემარბის დ. დიდიძის მიერ გატანილმა ბურთმა გამარჯვება და ჯარდამავალი თასი ფაბრიკის გუნდს მოუტანა.

**ო. მურვანიძე.**




სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

## 90 : 82

კიევი, 29 ივნისი. გუშინ აქ გაიმართა მორიგი ტურის მატჩი. ადგილობრივმა „სტროიტელმა“ უმასპინძლა გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერს, სვერდლოვსკის „ურალმაშს“. თამაში, სრულიად მოულოდნელად, მძაფრი და დაძაბული გამოდგა. სვერდლოვსკელებმა ტაიმი მხოლოდ 8 ქულით წააგეს—42:50. მეორე ნახევარი გარდამავალი უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ 8-ქულიანი სხვაობა ბოლომდე ძალაში დარჩა. „სტროიტელმა“ გაიმარჯვა — 90:82.

[illegible]...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი ტურის მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა). გაიმარჯვეს დინამოელებმა — 86:71 (36:34).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 26 | 23 | 3 | 2173—1824 | 23 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 26 | 20 | 6 | 2074—1861 | 20 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 26 | 20 | 6 | 1959—1788 | 20 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 25 | 18 | 7 | 1961—1894 | 18 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 25 | 14 | 11 | 2056—1994 | 14 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 25 | 13 | 12 | 1988—1974 | 13 |
| „დინამო“ (თბილისი) | 25 | 12 | 13 | 1986—2035 | 12 |
| ასკ (კიევი) | 26 | 10 | 16 | 1866—1886 | 10 |
| ასკ (რიგა) | 25 | 7 | 18 | 1830—1982 | 7 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 26 | 7 | 19 | 1880—2086 | 7 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 25 | 5 | 20 | 1852—2000 | 5 |
| „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) | 25 | 4 | 21 | 1827—2066 | 4 |

## [illegible]

● როტერდამი, 28 ივნისი. დამთავრდა ნიდერლანდებისა და სსრ კავშირის მოშაშეთა ამხანაგური მატჩი. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 16:12.

● მოსკოვი, 28 ივნისი. 117 ველომრბოლელი მონაწილეობდა გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ პრიზის გათამაშებაში. 90-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარა მინსკელმა ვ. ბიკოვმა. ქალებში უძლიერესი იყო ლენინგრადელი ა. კონკინა.

● ააჰენი, 28 ივნისი. გფრ-ის ამ ქალაქში დამთავრდა მსოფლიო პირველობა ცხენის გახედნაში. შესანიშნავად იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში. გუნდურ ასპარეზობაში მათ (ი. კიზიმოვი, ი. კალიტა, ე. პეტუშკოვა) 4617 ქულა დააგროვეს და 2 ქულით გაუსწრეს მეხიკოს ოლიმპიადაში გამარჯვებულებს — გფრ-ის მხედრებს (ი. ნეკერმანი, ლ. ლინზენჰოფი, ჰ. ბოლდტი). III ადგილზე დარჩნენ გდრ-ის წარმომადგენლები (ვ. მიულერი, გ. ბროკმიულერი, ჰ. კიოლერი) — 4154. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ე. პეტუშკოვამ — 2638 ქულა. II ადგილზე გავიდა ლინზენჰოფი — 2635,5, III—კიზიმოვი.

● ბელგრადი, 28 ივნისი. მოსკოვის „ბურევესტნიკის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა მოიგო აქ გამართული საერთაშორისო ტურნირი. მოსკოველებმა გადამწყვეტ მატჩში სძლიეს ზაგრების „დინამოს“ — 2:0 (1:0). მესამე ადგილი დაიკავეს ბრატისლავის „სლოვანის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“.

## [illegible]

ტალინი, 28 ივნისი. სსრ კავშირისა და გდრ-ის მრავალჭიდელთა IV ტრადიციულ მატჩში საერთო გუნდური გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა, რომლებმაც 74680 ქულა მოაგროვეს. გდრ-ის მძლეოსნებმა სსრ კავშირის სპორტსმენებთან 543 ქულა წააგეს. პირად შეჯიბრებაში ხუთჭიდი მოიგო ბ. პოლაკმა (გდრ) — 5085 ქულა. ვ. ტიხომიროვამ 4952 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის პირველი რეკორდის მფლობელი გახდა (რეკორდის სარეგისტრაციო ნორმატივი იყო 4900 ქულა). III ადგილზე გავიდა ტ. კონდრაშოვა — 4929. ეს გოგონათა საკავშირო რეკორდია.

ათჭიდში იმარჯვა ევროპის ჩემპიონმა ი. კირსტმა (გდრ) — 7907, მეორე იყო სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. შჩერბატიხი — 7720 ქულა.

დე-მოინი (აიოვას შტატი), 28 ივნისი. აშშ-ს სტუდენტ მძლეოსანთა შეჯიბრებაში უამინდობის გამო ჰოკით ხტომა დარბაზში ჩატარდა. გაიმარჯვა 19 წლის კანზასელმა სტუდენტმა ი. ჯონსონმა, რომელმაც 536 სმ სიმაღლე დაძლია და შვედ ჩ. ისაკსონის მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა.

## სამახსოვროდ გადაიღეს

## ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

ეს სურათი ცნობილმა ფოტოგრაფმა შალვა ფურცხვანიძემ მისახსოვრა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქტიური საზოგადო მოღვაწე იყო ბრწყინვალე ჟურნალისტი დავით მიქელაძე, რომელსაც ქართველი საზოგადოებრიობა „მეველეს“ ფსევდონიმით იცნობდა. იგი ჯერ „დროების“, შემდეგ კი „ივერიის“ ფურცლებზე დიდი პათოსით იბრძოდა იმდროინდელი ცხოვრების უსამართლობის წინააღმდეგ, ქადაგებდა სიკეთეს, მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულს.

დავით მიქელაძეს ჭეშმარიტად ქართული სტუმართმოყვარე ოჯახი ჰქონდა. მასთან მისვლა ყველას ახარებდა. აქ მუდამ მოწიწებით ხვდებოდნენ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, იაკობ გოგებაშვილს, მელიტონ ბალანჩივაძეს, ფილიმონ ქორიძეს... ზოგჯერ მიქელაძის ოჯახში საჭადრაკო პაექრობაც იმართებოდა.



საერთო სიყვარულით სარგებლობდა დავით მიქელაძის ვაჟი — პატარა ივერი. სწორედ ამ ბიჭუნას უძღვნა აკაკიმ ცნობილი ლექსი:

ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ივერი
დაიჭირა და იამა.

შემდგომ „ივერი“ „ყმაწვილით“ შეიცვალა.

ერთხელ დიდი მგოსანი პატარა ივერის ჭადრაკს ეთამაშა.

— მამას ძალიან უყვარდა ჭადრაკი, — გაიხსენა დავით მიქელაძის ქალიშვილმა ნინომ, რომელსაც ამას წინათ შინ ვეწვიეთ, — იგი ხშირად ეპაექრებოდა სტუმრებს. ერთხელ აკაკი წერეთელს მოუგო. მგოსანმა სათამაშოდ ივერი გამოიწვია, მაგრამ 6 წლის მეტოქესთანაც ვერაფერი გააწყო. მაშინ აკაკიმ ჩვეული იუმორით თქვა: მამამ მომიგო, ძემ მომიგო, სულიწმინდაღა დამრჩაო.

1883-84 წლებში დავით მიქელაძე ტყიბულის ქვანახშირის დამმუშავებელი ამხანაგობის „ნახშირის“ წევრი იყო. ერთხელ მას ცნობილი მხატვარი, ნიკო ნიკოლაძის ცოლისძმა დავით გურამიშვილი ეწვია.

ნასადილევს სტუმარმა ჭადრაკში საპაექროდ ივერი გამოიწვია. მას გაგონილი ჰქონდა აკაკი წერეთელთან პატარა მოჭადრაკის გამარჯვების ამბავი. ბიჭუნამ ამჯერადაც იყოჩაღა. ბავშვის თამაშით აღფრთოვანებულმა დავით გურამიშვილმა ეს ფოტოსურათი სამახსოვროდ გადაიღო პატარა მეტოქესთან ერთად.

— ივერი ჭადრაკს შემდეგაც თამაშობდა, თუმცა სერიოზულად ამ თამაშისთვის ხელი არასოდეს მოუკიდნია,— გვითხრა ქალბატონმა ნინომ, — გიმნაზიაში სწავლის დროს იგი ამხანაგებს ერთდროული თამაშის სეანსებს უტარებდა დაფაზე დაუხედავად. ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსის მოსმენის შემდეგ კი ივერი ვექილის საქმიანობას ეწეოდა. იგი 1930 წელს გარდაიცვალა.

თ. გიორგაძე.

## ა. ადეიშვილი



გარდაიცვალა ქართული ჭიდაობის დიდი მოამაგე აკაკი ნოეს ძე ადეიშვილი, ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება ეროვნული სპორტის განვითარებას, მის დღეგრძელობას მოანდომა.

იგი დაიბადა 1907 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო ადრე, სწავლის პერიოდში და სწორედ ამ დროს დაუკავშირდა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ფიზკულტურულ მოძრაობას. ა. ადეიშვილმა საფუძველი ჩაუყარა რკინიგზის პროფკავშირებში ნორჩი თაობის სპორტული დაოსტატების საქმეს. შემდეგ დაამთავრა სპეციალური ფიზკულტურული კურსები და სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის ქართული ჭიდაობის ფედერაციას, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

დიდია მისი ღვაწლი, ამაგი ნიჭიერ ფალავანთა აღმოჩენასა და მომზადებაში. იგი წარმატებით ასპარეზობდა ხარბიელზე და, რაც კიდევ უფრო მთავარია, პოპულარიზაციას უწევდა ჩვენს ეროვნულ საუნჯეს, ნერგავდა ახალგაზრდებში მისდამი უანგარო სიყვარულს.

პრინციპული, პირდაპირი და სიმართლის მოყვარული ენთუზიასტი განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა ამხანაგებში. ქართულმა ჭიდაობამ და მთელმა ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ ა. ადეიშვილის სახით საყვარელი, საქმის დიდი ქომაგი და თაყვანისმცემელი დაკარგა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.


საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას მწვრთნელთა სკოლის I კურსზე

კურსდამთავრებულები იღებენ საშუალო განათლებას და მწვრთნელის კვალიფიკაციას. სწავლის ვადა 3 წელია. სკოლაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო განათლება და არანაკლებ II თანრიგისა სპორტის რომელიმე სახეობაში.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით) შემდეგ სპეციალობებზე: სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ძალოსნობა, ცურვა, ხელბურთი, კალათბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ფრენბურთი, ფეხბურთი.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე (არჩეული სპეციალობის აღნიშვნით).

განცხადებას უნდა დაერთოს:

ა). საბუთი განათლების შესახებ (დედანი).

ბ). ავტობიოგრაფია.

გ). სკოლის ან რაიონული პოლიკლინიკის ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა № 286 ფორმის მიხედვით.

დ). 3 ფოტოსურათი (3×4 სმ ზომის).

ე). ისინი, ვისაც აქვს მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა, წარმოადგენენ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეები — ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნიდან (საბუთი დამოწმებული უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ).

პირადად უნდა იქნეს წარმოდგენილი დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის ცნობა (სამხედრო ვალდებულთათვის).

მისაღები გამოცდები ტარდება 1-დან 20 აგვისტომდე შემდეგ დისციპლინებში:

ა). ქართულ ენაში (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის, რუსულ ენაში (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის.

ბ). მათემატიკა (ზეპირი).

გ). სპეციალობაში (სპორტის არჩეული სახეობა, აგრეთვე ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა).

იმ პირთა საბუთების მიღება, რომლებიც მისაღებ გამოცდებს სრული საშუალო განათლების ბაზაზე აბარებენ, იწარმოებს 20 აგვისტოს ჩათვლით.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

ა). ქართულ ენაში (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის, რუსულ ენაში (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის.

ბ). სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

გ). სპეციალობაში (სპორტის არჩეული სახეობა, აგრეთვე, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა).

გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიით და სპორტული ფორმით (არსებული წესის თანახმად).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღები კომისიის სამდივნოში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

რექტორატი.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 03309